სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 01

2017 წ. "20" 01

ქ.თბილისი

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინდუსტრიულ ინოვაციათა მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 აგვისტოს №105 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის, სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 აგვისტოს №105 გადაწყვეტილების შესწავლისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. გაზიარებულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 აგვისტოს №105 გადაწყვეტილება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინდუსტრიულ ინოვაციათა მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ.
2. სააპელაციო საბჭოს 2017 წლის 20 იანვრის №1 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
აპოლონ სილაგაძე

მდივანი
ნინო დობორჯგინიძე